თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6590819

ნომერი: AR1981184

თარიღი : 28.07.2023

გაცემის თარიღი : 31.07.2023

გაცნობის თარიღი : 31.07.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გერგეტის შესახვევი, N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ხმალაძე პ/ნ 35001018932
- კ. მაყაშვილის ქ. #1/10

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677795 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 28 ივლისს №AR1981184 განცხადებით მომართა გიორგი ხმალაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის

№3677795 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677795 ბრძანებით №01.15.05.070.057 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 14 ნოემბრიდან 2019 წლის 14 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2019 წლის 19 ივლისის №4594968, 2021 წლის 21 ივლისის №5508312 და 2022 წლის 30 ივნისის №6009197 ბრძანებებით შევიდა ცვლილება სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677795 ბრძანებაში და გაგრძელდა მშენებლობის ვადა 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677795 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე დაზუსტდა ფართობები. შესაბამისად, ითხოვს წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წარმოდგენილ გეგმებზე დაზუსტდა ფართობები და ფუნქციები. ხოლო, გეგმების ექსპლიკაციებზე დატანილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677795 ბრძანებაში დაფიქსირებულ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებთან. შესაბამისად, აღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით ტექნიკური შეცდომის გასწორება არ ხდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677795 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677795 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677795 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3677795 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.